შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 26532

21/05/2014

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მცირეფასიანი საშუალებები საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხულოს რესურსცენტრზე გადაცემის შესახებ

,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის 35 - ე მუხლის და "სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხულოს რესურსცენტრზე სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ ბალანსიდან ბალანსზე სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მცირეფასიანი საშუალებები:

ა) მონიტორი - 1 ცალი, ღირებულებით 256,00 ლარი,
ბ) მონიტორი 1711 - 1 ცალი, ერთეულის ღირებულება 250,52 ლარი,
გ) მაგიდა მისადგმელით - 1 ცალი, ღირებულებით 120,00 ლარი,
ე) სკანერი 4010 - 2 ცალი, ერთეულის ღირებულება 243,70 ლარი, საერთო ღირებულებით 487,40 ლარი
ვ) მონიტორი - 2 ცალი, ერთეულის ღირებულება 250,52 ლარი, საერთო ღირებულებით 501.04 ლარი
ზ) მონიტორი 1710 - 4 ცალი, ერთეულის ღირებულება 256,00 ლარი, საერთო ღირებულებით 1024,00 ლარი.

2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხულოს რესურსცენტრზე ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ქონების გადაცემა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. მიღება- ჩაბარების აქტის ხელის მოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაცის მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბადრი აფხაზავა.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 15 მაისის №51973-02 წერილი, საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხულოს რესურს ცენტრის 2014 წლის 06 მაისის № 261782 წერილი.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური